4

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის --- ივნისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,, ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482517735, 26/06/2025) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე..

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მაია უგლავა

შეთანხმებულია

აპარატის უფროსის მ/შ მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე: არჩილ ღიბრაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482517735**
თარიღი: **26/06/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში განსახილველად შემოვიდა ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ 2025 წლის 25 ივნისის №33/26 წერილი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის 26 ივნისის №02-482517714 წერილი ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთში ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.

შესაბამისად, ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხაში **დაემატოს მებაღის 1 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 700 ლარი**.

აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს ა(ა) იპ „ბავშთა ინკლუზიური ცენტრის“ 2025 წლის ერთი თვის სახელფასო ფონდის ზრდას 700 ლარით, ხოლო წლის ბოლომდე 4200 ლარით. რომლის დაფინანსდება მოხდება ა(ა) იპ „ბავშთა ინკლუზიური ცენტრის“ 2025 წლის სუბსიდიის ფარგელბში.

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ თანხმობას ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთში ცვლილების შეტანის შესახებ.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

დანართი 1

ა(ა)იპ „ბავშთა ინკლუზიური ცენტრი"

	საშტატო ნუსხა	2025წელი	
№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
	სულ	19.0	
1	დირექტორი	1	2700
2	ბუღალტერი	1	1311
3	შესყიდვების მენეჯერი	1	1214
4	საქმის მწარმოებელი	1	972
5	სოც.მუშაკი	1	1045
6	პედაგოგი სპეც.განათლებით	1	1045
7	ხელოვნების პედაგოგი	1	1045
8	პროფესიული განვითარების სპეციალისტი	1	1045
9	ფსიქოლოგი	1	1045
10	მეტყველების სპეციალისტი	1	1045
11	პედაგოგის თამაშემწე	2	851
12	მზარეული	1	851
13	მზარეულის თანაშემწე	1	609
14	მებაღე	1	700
15	მძღოლი	1	1093
16	დამლაგებელი	1	730
17	დარაჯი	2	549

წყალტუბოს ა(ა) იპ "ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"

ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა, 1-ლი შესახვ.№2 ტელ. 577957111 ს/კ421271206

26-33-2-202506251603

N 33/26

25/06/2025

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
13-4325-1467-48
25 06 2025

ბატონო გენადი,

გიგზავნით, 2025 წლის 23 ივნისის N 33/21, 24 ივნისის N33/22 და 25 ივნისის N 33/25 წერილების დაზუსტებულ ვარიანტს.

გთხოვთ, წყალტუბოს ა(ა) იპ „ბავშთა ინკლუზიური ცენტრის" დამტკიცებულ სამტატო ნუსხაში შეგვიტანოთ ცვლილება და დაგვიმატოთ 1 მებაღის სამტატო ერთეული. თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 700 (შვიდასი) ლარი. აღნიშნულის დაფინანსება მოხდება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის სუბსიდიის ფარგლებში.

პატივისცემით,

ნინო ნემსწვერიძე

დირექტორი

13-4325-1467-48

QUALIFIED ELECTR

ა(ა)იპ „ბავშთა ინკლუზიური ცენტრი"

	საშტატო ნუსხა	2025წელი	
№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
	სულ	19.0	
1	დირექტორი	1	2,700
2	ბუღალტერი	1	1,311
3	შესყიდვების მენეჯერი	1	1,214
4	საქმის მწარმოებელი	1	972
5	სოც.მუშაკი	1	1,045
6	პედაგოგი სპეც.განათლებით	1	1,045
7	ხელოვნების პედაგოგი	1	1,045
8	პროფესიული განვითარების სპეციალისტი	1	1,045
9	ფსიქოლოგი	1	1,045
10	მეტყველების სპეციალისტი	1	1,045
11	პედაგოგის თამაშემწე	2	851
12	მზარეული	1	851
13	მზარეულის თანაშემწე	1	609
14	მძღოლი	1	1,093
15	დამლაგებელი	1	730
16	მებაღე	1	700
17	დარაჯი	2	549

ა(ა) იპ "ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის"
დირექტორი: /ნ.ნემსწვერიძე/

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ფატი გაგოშიძე
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი

წერილის ნომერი:**02-482517714**
თარიღი: **26/06/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

წყალტუბოს მუნიციპლიტეტის მერიაში შემოსული 25 ივნისის 13-482517697-48 წერილის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია წყალტუბოს ა(ა) იპ „ბავშთა ინკლუზიური ცენტრის“ დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში შეტანილი იქნას ცვლილება და დამატებული იქნას 1 მებაღის საშტატო ერთეული. თანამდებობრივი სარგო

განისაზღვროს 700 (შვიდასი) ლარი.

პატივისცემით,

ნათია ჩაკვეტაძე

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური-სამსახურის უფროსი